პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2021 წლის__ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821319119; 15/11/2021) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 25 ერთეულს (მერის მრჩეველი –1, მერის თანაშემწე –2, მერის მძღოლი–1, მძღოლი–1, ფსიქოლოგი-1, დამლაგებელი–5, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი – 1, კონსულტანტი –3, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი – 1, მდივანი–1, ევროკავშირის 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB 1138) ფარგლებში კოორდინატორის-1, კოორდინატორის ასისტენტის-1, ტექნიკური მენეჯერის-1, PR მენეჯერის-1, საფინანსო მენეჯერის-1, ოფისის მენეჯერის-1 და 2 სპეციალისტის). ამასთან, როგორც მერი აღნიშნავს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და 3 სპეციალისტისაგან, რომელთაგან თანამდებობრივი ინსტრუქციის გათვალისწინებით 2 სპეციალისტი მუშაობს შესყიდვების, ხოლო ერთი სპეციალისტი მუშაობს მატერიალურ-ტექნიკური კუთხით. ამ უკანასკნელის ფუნქციების შესრულება ერთი სპეციალისტისათვის წარმოადგენს შრომატევად საქმიანობას, შესაბამისად მერს ესაჭიროება ერთი დამხმარე სპეციალისტი, რომელიც შეითავსებდა დამხმარე ტექნიკური ხასიათის საკითხების შესრულებას. ვინაიდან, მისთვის ხელშეკრულების გაფორმება სცილდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, მერი ითხოვს მერიაში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამონაკლისის დაშვებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

245

„1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 1 მძღოლის, 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 3 კონსულტანტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 მერის მდივნის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში - 2021 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე - კოორდინატორის, კოორდინატორის ასისტენტის, ტექნიკური მენეჯერის, PR მენეჯერის, საფინანსო მენეჯერის, ოფისის მენეჯერის და 2 სპეციალისტის საგრანტო პროექტის დარჩენილი ვადით მიღების, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის და 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის – ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რომეო ნიჟარაძე

256

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4821319119**
თარიღი: **15/11/2021**
პინი: **4070**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

როგორც მოგეხსენებათ, ,,შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. აღნიშნული შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

,,საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი 190020010.05.001.020220 თარიღი 29/12/2020 ძალაში შესვლის თარიღი 2021 წლის 1 იანვარი) საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული შეზღუდვიდან გამონაკლისი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საჭიროებს საკრებულოსთან შეთანხმებას იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობა აღემატება შტატით გათვალისწინებულ ფაქტიურად დასაქმებულთა რიცხოვნობის 1%-ს, ხოლო იმ ორგანიზაციებში სადაც საშტატო რიცხოვნობის 1% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 25 ერთეულს: - მერის მრჩეველი 1, მერის თანაშემწე 2, კონსულტანტი 3, ფსიქოლოგი 1, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი 1, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი 1, მერის მდივანი 1, მერის მძღოლი 1, მძღოლი 1, დამლაგებელი 5, ასევე საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული არის 6 პირი - კოორდინატორი 1, კოორდინატორის ასისტენტი 1, ტექნიკური მენეჯერი 1, PR მენეჯერი 1, საფინანსო მენეჯერი 1, ოფისის მენეჯერი 1 და 2 სპეციალისტი რომელთა მიღების ვადა შეთანხმებულია საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და 3 სპეციალისტისგან, რომელთაგან თანამდებობრივი ინსტრუქციის გათვალისწინებით 2 სპეციალისტი მუშაობს შესყიდვების, ხოლო ერთი სპეციალისტი მუშაობს მატერიალური-ტექნიკური კუთხით.

237

თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად ის უზრუნველყოფს: ა) მერიის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების მოვლა - პატრონობას, აღჭურვას, რემონტს, კეთილმოწყობას, კომუნალურ მომსახურეობასა და დაცვას; ბ) საოფისე ავეჯის, კომპიუტერების და სხვა ტექნიკის მოვლა-პატრონობას, რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას; გ) მერიის თანამდებობის პირებისა და სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით, საოფისე მასალებით მომარაგებას და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციის მომზადებას; დ) თანამდებობის პირების სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობას, რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას; ე) ადმინისტრაციულ შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე სანიტარიული ნორმების დაცვას; ვ) მერიის ადმინისტრაციული შენობის დაცვას; ზ) მერიის ადმინისტრაციულ შენობაში შექმნილი პრობლემების დროს სათანადო სამსახურების გამოძახებას; თ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას. ვინაიდან აღნიშნული ფუნქციების შესრულება ერთი სპეციალისტისათვის წარმოადგენს შრომატევად საქმეს გვესაჭიროება დამხმარე სპეციალისტი, რომელიც შეითავსება დამხმარე ტექნიკური ხასიათის საკითხების შესრულებას.

გამომდინარე აღნიშნულიდან, გთხოვთ, თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით 1 პირის - დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში მიღების თაობაზე, 2021 წლის 31 დეკემბრამდე. თანხმობის მიღების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილება განორციელდება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N52 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში.

გიგზავნით, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტს.

გთხოვთ განიხილოთ.

. დანართი ,, 10 ‘’ ფურცლად.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

238

განმარტებითი ბარათი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა)ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და 3 სპეციალისტისგან, რომელთაგან თანამდებობრივი ინსტრუქციის გათვალისწინებით 2 სპეციალისტი მუშაობს შესყიდვების, ხოლო ერთი სპეციალისტი მატერიალური - ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით. თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად ის უზრუნველყოფს: ა) მერიის ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების მოვლა - პატრონობას, აღჭურვას, რემონტს, კეთილმოწყობას, კომუნალურ მომსახურეობასა და დაცვას; ბ) საოფისე ავეჯის, კომპიუტერების და სხვა ტექნიკის მოვლა-პატრონობას, რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას; გ) მერიის თანამდებობის პირებისა და სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით, საოფისე მასალებით მომარაგებას და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაციის მომზადებას; დ) თანამდებობის პირების სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მოვლა-პატრონობას, რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას; ე) ადმინისტრაციულ შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე სანიტარიული ნორმების დაცვას; ვ) მერიის ადმინისტრაციული შენობის დაცვას; ზ) მერიის ადმინისტრაციულ შენობაში შექმნილი პრობლემების დროს სათანადო სამსახურების გამოძახებას; თ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

ვინაიდან აღნიშნული ფუნქციების შესრულება ერთი სპეციალისტისათვის წარმოადგენს შრომატევად საქმეს გვესაჭიროება დამხმარე სპეციალისტი, რომელიც შეითავსებს დამხმარე ტექნიკური ხასიათის საკითხების შესრულებას. კერძოდ: ა)შენობის მოვლა-შენახვის და გამართულ ფუნქციონირებას (შენობის ტექნიკური, ელექტრო-მექანიკური, გათბობა-გაგრილების, წყალგაყვანილობების დაზიანების აღმოფხვრას, ადმინისტრაციული შენობის შიდა ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლას და სამეურნეო დანიშნულების სისტემების გამართული/შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას;

ბ) საოფისე ავეჯის, კარების მალფუჭებადი გასაღებების და სხვა ტექნიკის რემონტის უზრუნველყოფას;

გ) მერიის თანამშრომელთა საოფისე და საკანცელარიო მასალებით მომარაგებას.

ბ)არსი:

პროექტით გათვალისწინებულია:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებით დამტკიცებულ დანართი 1-ში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დასახელებებში დამხმარე სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში დამატება.

გ)ფინანსური დასაბუთება:

აღნიშნულის დაფინანსება მოხდება შრომითი ხელშეკრულბით დასაქმებული პირების ანაზღაურების ფონდის ფარგლებში.

ავტორი

მირანდა მამისეიშვილი

ინიციატორი

ვახტანგ ნადარეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ.წყალტუბო ---- ნოემბერი , 2021 წელი

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ.ბ" და ,,დ.ე" ქვეპუნქტების, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში (სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.122.016434. 04/12/2017) და ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის).

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა: მ.მამისეიშვილი

შეთანხმებულია: ვ.ნადარეიშვილი

ნ. ჩიხლაძე

241

დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა

იერარქიული რანგი	თანამდებობათა დასახელება	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო
მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირები			
	მერი	1	2650
	მერის პირველი მოადგილე	1	1750
	მერის მოადგილე	1	1650
პოლიტიკურ თანამდებობის პირთა რაოდენობა		3	
მერის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეები			
	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში)	17	1100
მერის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		17	
მერიის სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოსამსახურეები			
1. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი	1	1500
1.1. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილება			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
მეოთხე რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	2	800
1.2 .ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილება			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
1.3. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება			

მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი	3	900
	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი	25	800
	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი	3	750
	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი	4	650

1.4. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილება

მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	1200
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	900
მეოთხე რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	800

1.5. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900

1.6. ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900

მეოთხე რანგი	მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	650
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		56	
2. **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური**			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი	1	1500
2.1.**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება**			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
2.2.**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სახაზინო განყოფილება**			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
2.3. **საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება**			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		13	
3.**ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური**			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი	1	1500
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	4	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
3.1.**ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის აგრარულ საკითხთა განყოფილება**			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		9	
4.**სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური**			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული	1	1500

	ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი		
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
4.1.სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილება			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
4.2.სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილება			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		10	
5.ზედამხედველობის სამსახური			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი	1	1500
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	5	900
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		6	
6.ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი	1	1500
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-კოორდინატორი ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში	1	900
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სოციალური მუშაკი ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში	1	900
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ინსპექტორი ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებში	1	900
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
მეოთხე რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	800

6.1.ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილება			
მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – განყოფილების უფროსი	1	1200
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		12	
7.კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი	1	1500
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	900
მეოთხე რანგი	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	750
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		8	
8.სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი	1	1500
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
მეოთხე რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	2	800
მეოთხე რანგი	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1	750
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		7	
9.შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური			
პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – სამსახურის უფროსი	1	1500
მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	900
საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		5	
მერიის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა		146	

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პოზიციები და თანამდებობრივი სარგოები

პოზიცია	ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის მრჩეველი	1	1300
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის თანაშემწე	2	1100
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – კონსულტანტი	3	1000

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	1	1000
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – ფსიქოლოგი	1	1000
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – კომპიუტერული სისტემისა და ქსელების სპეციალისტი	1	1000
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - დამხმარე სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში	1	1000
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის მდივანი	1	700
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მერის მძღოლი	1	900
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – მძღოლი	1	800
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – დამლაგებელი	5	500
საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- კოორდინატორი	1	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- კოორდინატორის ასისტენტი	1	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- ტექნიკური მენეჯერი	1	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- PR მენეჯერი	1	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი- საფინანსო მენეჯერი	1	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ოფისის მენეჯერი	1	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - სპეციალისტი	2	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა	26	

ადრესატი:

რომეო ნიჟარაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49213215**
თარიღი: **17/11/2021**

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ რომეო ნიჟარაძეს

ბატონო რომეო,
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 ნოემბრის N48-4821319119 წერილის საფუძველზე მოვამზადე განკარგულების პროექტი - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომელსაც წარმოგიდგენთ კომისიის სხდომაზე განხილვის მიზნით.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

249

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821319119; 15/11/2021) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 25 ერთეულს (მერის მრჩეველი –1, მერის თანაშემწე –2, მერის მძღოლი–1, მძღოლი–1, ფსიქოლოგი-1, დამლაგებელი–5, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი – 1, კონსულტანტი –3, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი – 1, მდივანი–1, ევროკავშირის 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB 1138) ფარგლებში კოორდინატორის-1, კოორდინატორის ასისტენტის-1, ტექნიკური მენეჯერის-1, PR მენეჯერის-1, საფინანსო მენეჯერის-1, ოფისის მენეჯერის-1 და 2 სპეციალისტის). ამასთან, როგორც მერი აღნიშნავს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და 3 სპეციალისტისაგან, რომელთაგან თანამდებობრივი ინსტრუქციის გათვალისწინებით 2 სპეციალისტი მუშაობს შესყიდვების, ხოლო ერთი სპეციალისტი მუშაობს მატერიალურ-ტექნიკური კუთხით. ამ უკანასკნელის ფუნქციების შესრულება ერთი სპეციალისტისათვის წარმოადგენს შრომატევად საქმიანობას, შესაბამისად მერს ესაჭიროება ერთი დამხმარე სპეციალისტი, რომელიც შეითავსებდა დამხმარე ტექნიკური ხასიათის საკითხების შესრულებას. ვინაიდან, მისთვის ხელშეკრულების გაფორმება სცილდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, მერი ითხოვს მერიაში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამონაკლისის დაშვებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 1 მძღოლის, 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 3 კონსულტანტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 მერის მდივნის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში - 2021 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე - კოორდინატორის, კოორდინატორის ასისტენტის, ტექნიკური მენეჯერის, PR მენეჯერის, საფინანსო მენეჯერის, ოფისის მენეჯერის და 2 სპეციალისტის საგრანტო პროექტის დარჩენილი ვადით მიღების, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების

250

სპეციალისტის და 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის – ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ, 2021 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 49.49210293 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

252